საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაწევანი

მაწევანი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში (ჩხიკვთას თემი), მდ. ალგეთის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 960 მ, თეთრი წყაროდან 8 კმ. 77 მცხ. (2014).

მ. XVI–XVII სს. ისტ. დოკუმენტებში იხსენიება როგორც ბარათაშვილთა და საგინაშვილთა კუთვნილი სოფელი. სოფლის აღმ-ით ციკლოპური ნასოფლარის ნაშთებია. ჩრდ. განაპირას, გორაზე დგას X–XI სს. დარბაზული ეკლესია – კვირაცხოველი, რ-ზეც არის სამშენებლო წარწერა. მ-ის ეკლესიაში მდებარე საფლავის ქვაზე ეპიტაფიაა, საიდანაც კარგად ჩანს რუს.-ოსმალეთის 1877–78 ომის შედეგად სამხრ. საქართველოს შემოერთებით გამოწვეული ქართველ პატრიოტთა სულისკვეთება.

მ-ის დღევანდელი მოსახლეობა XIX ს-ში ჩამოსახლებული მთიულებია.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში, თბ., 1935; Т а к а и ш в и л и Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. 2, Тфл., 1905.

თ. თოდრია